ქირავნობის ხელშეკრულება 63

ქ.წყალტუბ ო 21 სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ ,,გამქირავებელი'' ფიზიკური პირი ნანა მელქაძის პ/ნ 53001011979 მეორეს მხრივ ა(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების'' გაერთიანების მმართველი გიორგი იობიძე ს/კ 221281636 ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 გამქირავებელი გადასცემს დამქირავებელს დროებით სარგებლობაში უძრავ ნივთს , მდებარე ქ.წყალტუბოს ბესიკის ქ.№ 15 /1 ფართი 260 კვ/მ

1.2 დამქირავებელი იღებს ზემოთ აღნიშნულ ფართს დროებით სარგებლობაში ქ. წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა-ბაღის ფუნქციონირებისათვის და თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს ხელშეკრულებით შეთანხმებული ქირა. 8400 ლარი

კლასფიკატორის კოდი 70300000

2.მხარეთა უფლებამოვალეობები

2.1 გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

2.2 გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

2.3 გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო.

2.4 გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი

მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის, ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

2.5 თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება.

2.6 თუ, ნაკლი რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს, ან თუ, გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ არ ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება.

2.7 თუ, დამქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება.

3.ხელშეკრულების ვადა

3. 1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებილია 2015 წლის 21 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.ქირის გადახდის წესი

4.1 ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ.

4.2 მხარეთა შეთანხმებით დამქირავებელი გამქირავებელს გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში 8400 (რვაათასოთხას) ლარს.აქედან კომუნალურ ხარჯებს (წყალი, გაზი და შუქი) დაფარავს გამქირავებელი.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 უძრავი ნივთის (ფართის) დამქირავებელი უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს.

5.2 გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს. ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების საშიშროებას.

5.3 ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

5.4. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობით.

5.5 ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

6.მხარეთა რეკვიზიტები

6.1 გამქირავებელი:

ს/კ53001011979

ბ/კ TBCBGE22

ა/ნ GE34TB7293745063600020

მის : ქ,ქ პ.მელიქიშვილის ქ #12 ბ.2

ნანა მელქაძე

6.2 დამქირავებელი

ს/კ 221281636

აიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ქ.წყალტობო ვაჟა ფშაველას # 1

მმართველი ბ.ციბიძე